MES 2 23 0001375556

16/10/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
თამარ ფიფია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ-თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლა
მაია მამისეიშვილი- სკოლის დირექტორი

სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლა
შორენა შამათავა- სკოლის დირექტორი

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლა
დავით ნავდარაშვილი- სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლა
ია კვიტია-სკოლის დირექტორი

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გუთურის საჯარო სკოლა
მზია ოსეფაიშვილი-სკოლის დირექტორი

სსიპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვის საჯარო სკოლა
მზია ვაშალომიძე- სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):

სსიპ - თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლა
ლანა ყურაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
სოფიო ბურჯანაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ლია ბოგვერაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი
ზაზა მანია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ზურაბ ურიადმყოფელი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
სალომე არაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
თეა ღვინიანიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
სოფიო ხვადაგიანი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
თეონა აბრამიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ნინო ჭიჭინაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლა
ლევან მადათოვი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:

ზაზა ჭანტურია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ნინო ბურჯალიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
შორენა გაგნიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნათელა ბასილია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ლამზირა აფაქიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ნონა გამხიტაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ილონა აკობია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ნატო გერგაია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
მარინა ანესაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნათია ბრეგაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლა
მარიამი ხუციშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
აკაკი სადუნიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ხათუნა თოიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ლელა კვირტია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ნინო ბურჯანაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
მარიამ ლეკიაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ირმა შველიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
თეა ღვინიანიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ქეთევან ცირეკიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი
ხათუნა კალმახელიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
კობა დეკანაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლა
მაკა ჭიაბერაშვილი ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
მაკა კანდელაკი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ნინო ფსუტური - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნიკა უთალიშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
სოფიო მგალობლიშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
თამარ ძველაია - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
მაკა აფრიამაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
მარიამ ჯვარიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ნანა ცინცაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
საბა დარსაველიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნათია კურტანიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გუთურის საჯარო სკოლა
ინა ბიწაძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ტარიელ სივსივაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ნათია დარსაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ირმა ქაფიანიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
თაია მამარდაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

დავით კიკაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ნადია დაბრუნდაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
მარინე ხუციშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
მაია ჩაჩხიანი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
მიხეილ გაფრინდაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვის საჯარო სკოლა

როლანდ შავაძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
თალიკო ჯაყელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ფიქრია მუმლაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
აკაკი სადუნიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
თამთა კამკამიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
თამარ წულუკიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
გიორგი ტაბუცაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
სოფიო ხვადაგიანი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ნინელი ცერცვაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ალექსანდრე ჩახნაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ქეთევან ცირეკიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა ჩატარდა 2023 წლის 02 ოქტომბერს ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე -7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გუთურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე სახის შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ-თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლანა ყურაშვილმა.
ექსპერტმა, განაცხადა, რომ დაწესებულება მდებარეობდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ გეგუთში. დაწესებულება სწავლებას ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სამივე საფეხურზე, ქართულ ენაზე. მისი თქმით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა, ლანა ყურაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა იყო მოწესრიგებული. ასევე, დაწესებულებას წესრიგში ჰქონდა ყველა საჭირო და მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია. მისი თქმით, სკოლა ითვალისწინებდა მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებს და ქმნიდა თანამშრომლობით გარემოს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, ფლობდა თუ არა დაწესებულება სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის დოკუმენტაციას და რა აქტივობებს ახორციელებდა ამ მიმართულებით. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორმა, მაია მამისეიშვილმა, განმარტა, რომ დაწესებულებას ზემოაღნიშნული შემუშავებული ჰქონდა ცალკე დოკუმენტის სახით, რომელსაც დანართად

ახლავდა განსახორციელებელი სამუშაოსა და შემოწმების პერიოდის ამსახველი ცხრილი. ექსპერტმა, ლანა ყურაშვილმა, მოცემული დოკუმენტის არსებობა დაადასტურა.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, განაცხადა, რომ სკოლის შინაგანაწესის მე-11 მუხლის მიხედვით, განსაზღვრული იყო მოსწავლეთა წახალისების ფორმები. მან კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, თუ რამდენად ხშირად იყენებდნენ მოსწავლეთა წახალისების მეთოდებს. მორის დანდურიშვილი ასევე დაინტერესდა და სთხოვა ექსპერტებს, განემარტათ, მოსწავლეთა პირად საქმეებში იკითხებოდა თუ არა ჩანაწერი მოსწავლეთა წახალისების ფაქტების შესახებ, რაზეც სკოლის დირექტორმა, განაცხადა, რომ დაწესებულება ორიენტირებული იყო მოსწავლეთა წარმატებების აღიარებაზე. სკოლა მიმართავდა წახალისების ისეთ ფორმებს როგორიცაა: საჯაროდ მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან მოსწავლეთა წარმატებების აღნიშვნა და ა.შ. ექსპერტმა, ლანა ყურაშვილმა, დასძინა, რომ მოსწავლეთა პირად საქმეებში მოცემული ჩანაწერი არ ფიქსირდებოდა, თუმცა, სკოლა მოტივირებული იყო მოსწავლეთა მიღწევების წახალისებაზე.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, განაცხადა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა, მისი თქმით, აღნიშნულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტების მხრიდან არ იყო გაცემული რეკომენდაცია. მან ყურადღება გაამახვილა რჩევაზე, რომლის მიხედვითაც, მასწავლებლებს მომავალი სასწავლო წლიდან ისე უნდა დაეგეგმათ სასწავლო პროცესი, რომ ყურადღება გაემახვილებინათ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. საბჭოს წევრის მოსაზრებით, ის ფაქტი, რომ ყველა სამიზნე ცნების დამუშავება ვერ ხორციელდებოდა დაწესებულებაში, პრობლემას წარმოადგენდა. გარდა ამისა, მისი თქმით, მოქალაქეობის საგნის კურიკულუმები შეუსაბამო იყო თემასთან, სამიზნე ცნებასა და მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებთან. ასევე, შალვა მეკრავიშვილის მოსაზრებით, დაწესებულების მხრიდან არ იყო წარმოდგენილი მე-10 კლასის არც ერთი პროექტი სამოქალაქო განათლების მიმართულებით. მან მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტს, დაეზუსტებინა, თუ რატომ არ იყო გაცემული რეკომენდაცია აღნიშნული საგნის კურიკულუმთან მიმართებით. საბჭოს წევრმა ითხოვა, დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ ხორციელდებოდა თუ არა პროექტული სწავლება სკოლაში ამ განხრით. . საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ზაზა მანიამ, განაცხადა, რომ დაწესებულებას შესაბამისობაში ჰქონდა მოყვანილიკურიკულუმები ისტორიასა და გეოგრაფიაში. მისი თქმით, მასწავლებლებმა წარმოადგინეს კომპლექსური დავალებების ნიმუშები. ზაზა მანიამ დასძინა, რომ პედაგოგები ასევე გამოთქვამდნენ მზაობას, გამოესწორებინათ რიგი საკითხები, რომელთა შესახებაც ექსპერტმა გასცა რჩევა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, განაცხადა, რომ დაწესებულებაში არ იყო დამონტაჟებული გამწოვი კარადა. მან კითხვით მიმართა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს, დაეზუსტებინა, უშლიდა თუ არა ხელს, გამწოვი კარადის არარსებობა ბუნებისმეტყველების მიმართულებით გაკვეთილების, პროექტებისა თუ ექსპერიმენტების განხორციელებას. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ლია ბოგვერაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებდა საველე კვლევითი ლაბორატორია, რომელიც მდებარეობდა სკოლის ეზოში და აღჭურვილი იყო ყველა საჭირო ინვენტარით. აღნიშნულ ლაბორატორიაში ტარდებოდა ექსპერიმენტები და ცდები, რომლებიც საშუალებას იძლეოდა მოსწავლეების ცოდნა გამდიდრებულიყო როგორც ფორმალური, ასევე, არაფორმალური განათლების მიმართულებით.
საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა, მიმართა მათემატიკის საგნობრივ ექსპერტს, განემარტა, წარმოდგენილი ჰქონდა თუ არა დაწესებულებას მე- 11 კლასის მათემატიკის კურიკულუმი. ასევე, საბჭოს წევრი დაინტერესდა, როგორ თანამშრომლობდნენ მათემატიკის კათედრაზე მასწავლებლები ერთმანეთთან. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, მათემატიკის საგნობრივმა

ექსპერტმა, თეონა აბრამიშვილმა, განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით, დაწესებულებას სასწავლო წლის დასაწყისამდე უნდა შეემუშავებინა მე-11 კლასის კურიკულუმები. საუბარში ჩაერთო სკოლის წარმომადგენელი, რომელმაც დაადასტურა, რომ აღნიშნული კურიკულუმები სკოლას უკვე შემუშავებული ჰქონდა. ექსპერტმა, თეონა აბრამიშვილმა, განაცხადა, რომ მასწავლებლები ერთმანეთთან თანამშრომლობდნენ სხვადასხვა ფორმით, კერძოდ, ურთიერთდასწრებით, პროექტებისა და კურიკულუმების ერთობლივი შემუშავებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 550-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, 2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ-თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 221294711) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 550 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელი გეგუთი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელი გეგუთი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელი გეგუთი

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ მეორე სტანდარტთან მიმართებით, სამოქალაქო განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის შესწორებული კურიკულუმები, 2024 წლის დასასრულამდე წარმოედგინა ცენტრში.

2. სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლევან მადათოვმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 11 და 12 ივლისს. სკოლა მდებარეობდა სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევში. სკოლა სწავლებას ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 200 მოსწავლე.
ექსპერტმა, ლევან მადათოვმა, აღნიშნა, რომ პირველი (სკოლის ფილოსოფია), მეორე (სასკოლო კურიკულუმი) და მეოთხე სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა), ექსპერტთა მიერ შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხარვეზი დაფიქსირდა მესამე სტანდარტში (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა), კერძოდ, კომპონენტები 3.2. (პერსონალის განვითარება), 3.4. (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.6. (საინფორმაციო რესურსები) შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.“ ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა გეგმავდა წლის ბოლომდე აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრას. მისი განცხადებით, თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებსაც.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა, სამოქალაქო განათლებაში განხორციელებული სავალდებულო პროექტით. დაწესებულების დირექტორმა, შორენა შამათავამ, აღნიშნა, რომ სკოლაში ერთ-ერთი პედაგოგის მიერ ჩამოყალიბებული იყო კლუბი, რომლის ფარგლებშიც აქტიურად ხორციელდებოდა სხვადასხვა პროექტი, მათ შორის, „არა ბულინგს“ და „მწვანე სკოლა“.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, კითხვით მიმართა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ, შემუშავებული ჰქონდა თუ არა დაწესებულებას შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა, განაცხადა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლას შემუშავებული

ჰქონდა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი. საუბარში ჩაერთო სკოლის წარმომადგენელი, რომელმაც დაადასტურა, რომ დაწესებულებამ დაამტკიცა სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მან აღნიშნა, რომ ამ დროისთვის, სკოლას შექმნილი ჰქონდა ასევე ვებ-გვერდიც, ხოლო პერსონალის პირად საქმეებში მოწესრიგებული იყო სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის ცნობების საკითხი. ოქტომბრის ბოლოს დაგეგმილი იყო საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის სამსახურთან. შენობის მდგრადობის დოკუმენტთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ სკოლა დეკემბრის ბოლომდე ელოდებოდა შესაბამის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, მხარი არ დაუჭირა სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და მოსწავლეთა უსაფრთხოების თვალსაზრისით, არ მიიჩნია მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლას (ს/კ: 239884988) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200 - ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1		დაწყებითი	ქართული	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოქალაქევი

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოქალაქევი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოქალაქევი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი : 2025 წლის ოქტომბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა : ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები : სტანდარტი 2. (სასკოლო კურიკულუმი); მესამე სტანდარტის 3.4. კომპონენტი.
საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში გაწერილი დოკუმენტაცია წარმოედგინა 2025 წლის ოქტომბრის ჩათვლით.

3. სსიპ- მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლის ავტორიზაციი სსაკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მარიამ ხუციშვილმა. მან განაცხადა, რომ სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 12 და 13 ივნისს. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო - 450.
მარიამ ხუციშვილმა აღნიშნა, რომ სკოლა იყო ახალი აშენებული, მასში ფუნქციონირებდა ცხრა საკლასო ოთახი დაა სწავლებას ახორციელებდა ორ ცვლაში.
ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკაზეც და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას რომ მოსწავლეებში პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და პროფესიული უნარების გამომუშავების მიზნით, დაწესებულებას 2022-2023 სასწავლო წლებში გაფორმებული ჰქონდა

მემორანდუმი სსიპ -ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯთან, რომლის საფუძველზეც, ხორციელდებოდა პროფესიული ორიენტაციის კურსები.
მარიამ ხუციშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც სკოლის მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", ვინაიდან ორივე კომპონენტი ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა სტანდარტთან მეტწილი შესაბამისობით. მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", ვინაიდან 3.1, 3.4, 3.5, 3.6 კომპონენტები შეფასდა მეტწილ შესაბამისად. ასევე, მეტწილ შესაბამისობაში იყო მეოთხე სტანდარტის პირველი კომპონენტი, 4.1. რამაც განაპირობა მეოთხე სტანდარტის მეტწილად შესაბამისობა, ხოლო მეორე სტანდარტის მეტწილად შეფასება გამოწეული იყო 2.2. და 2.3. კომპონენტების მეტწილ შესაბამისად შეფასებით.
ექსპერტმა, დასძინა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილ შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებას ვალდებულება ჰქონდა 2020 წლის 3 ივნისიდან დასაქმებულ პირებზე წარმოედგინა ცნობები უფლების ჩამორთმევისა და სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, დამატებით აღნიშნა, რომ სკოლას მხედველობაში უნდა მიეღო ასევე სკოლის სამედიცინო პერსონალის შესარჩევი კონკურსის სავალდებულო მოთხოვნა, რომელიც გულისხმობდა საკონკურსო კომისიაში დარგის სპეციალობის მქონე პირის გათვალისწინებას.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, კითხვით მიმართა საგნობრივ ექსპერტებს დაეზუსტებინათ, ხორციელდებოდა თუ არა პროექტები მეათე კლასში სხვადასხვა მიმართულებით.პასუხად, ესთეტიკური აღზრდის საგნობრივმა ექსპერტმა, ხათუნა კალმახელიძემ, აღნიშნა რომ პროექტული სწავლების ამსახველი პროცესი დოკუმენტური სახით არ უნახავს, თუმცა ვიზიტის პერიოდში, ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა სკოლის მზაობა ამ მიმართულებით სწავლების განხორციელებასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 450-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-2, მე-4 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27-ე

მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ- მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლას (ს/კ: 236087818) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:
დანართი:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მცხეთა, სოფელი ძეგვი, 1-ლი ქუჩა, N5
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მცხეთა, სოფელი ძეგვი, 1-ლი ქუჩა, N5
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	მცხეთა, სოფელი ძეგვი, 1-ლი ქუჩა, N5

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ოქტომბრიდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები - ოთხივე სტანდარტი.

4. სსიპ-თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მაკა ჭიაბერაშვილმა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ-თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 10 და 11 აგვისტოს. დაწესებულება მდებარეობდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვაში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამები ხორციელდებოდა ქართულ ენაზე, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 160.

ექსპერტმა, აღნიშნა, რომ პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მან დასძინა, რომ მესამე სტანდარტის 3.4 კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

მაკა ჭიაბერაშვილმა, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სკოლა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით, მხარს უჭერდა არაფორმალური აქტივობების განხორციელებას, მათ შორის, პერსონალი ყურადღებას უთმობდა საზაფხულო ბანაკების მოწყობას, ინტელექტუალურ თამაშებსა და ეკო კლუბს. სკოლა შეესაბამებოდა თანამედროვე სტანდარტებს და აღჭურვილი იყო ყველა საჭირო ინვენტარით, მათ შორის, ლიფტით, წიგნადი ფონდითა და რეკრეაციული ზონით.

ექსპერტმა, აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, შეფასდა მეტწილ შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. მისი თქმით, დაწესებულებამ მიიღო დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ, თუმცა დასკვნის მიხედვით, არ დგინდებოდა მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხი.კერძოდ, დოკუმენტის თანახმად, ხანძრის შემთხვევაში დაწესებულებას არ ჰქონდა 57 ტონიანი წყლის ავზი.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციიდან ერთ-ერთი ეხებოდა მშობელთან გაგზავნილ შეტყობინებას, რომლის მიხედვითაც, დაწესებულება მშობელს აცნობდა მოსწავლის სტატუსის შეჩერების თაობაზე საბჭოს წევრმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, რა პროცესები განხორციელეს მათ ამ მიმართულებით და ჰყავდათ თუ არა ჩართული სოციალური მუშაკი. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორმა, ია კვიტიამ, აღნიშნა რომ ისინი პერიოდულად აწვდიდნენ მშობელს ინფორმაციას, თუმცა სოციალური მუშაკი არ ჩაურთავთ მიმდინარე პროცესებში.

საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, მიმართა სკოლის დირექტორს და სთხოვა, დაეზუსტებინა, რას გეგმავდა სკოლა წყლის ავზთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორის, განცხადებით, სპეციალურ სამსახურთან გასაუბრების შედეგად, დგინდებოდა, რომ სოფელში უნდა დამონტაჟებულიყო სახანძრო ჰიდრატი, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაწესებულებას უნდა უზრუნველეყო სკოლის ტერიტორიაზე 54 ტონამდე წყლის ავზის განთავსება. აქვე, ია კვიტიამ დასძინა, რომ რეალისტური გზა სახანძრო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, იყო სოფელში სახანძრო ჰიდრატის დამონტაჟება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვისსაჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 160-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2, მე-4 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დააყენა სსიპ-თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვის საჯარო სკოლას (ს/კ: 232004586) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 160-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი სიქთარვა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი სიქთარვა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი სიქთარვა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ოქტომბრიდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი
- მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (დაწყებითი, საბაზო, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები)

საბჭოს თავმჯომარემ, დავით მალაზონიამ, განმარტა რომ მეორე სტანდარტის მონიტორინგი განაპირობა გარკვეულმა გარემოებებმა, კერძოდ, სკოლას არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და კურიკულუმები საჭიროებდა რევიზიას.

5. სსიპ-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გუთურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ინა ბიწაძემ.

ექსპერტმა, აღნიშნა, რომ სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გუთურის საჯარო სკოლაში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 27 და 28 ივნისს. სკოლა მდებარეობდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ გუთურში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამები ხორციელდებოდა ქართულ ენაზე, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 120 მოსწავლე.

ექსპერტმა, ინა ბიწაძემ, ისაუბრა სკოლის გამორჩეულ პრაქტიკაზე, რომელიც სკოლაში არაფორმალური განათლების ფარგლებში ხორციელდებოდა. მისი განმარტებით, დაწესებულებაში ფუნქციონირებდა ეკოკლუბი, მეწარმეობისა და ლიტერატურული კლუბები. ექსპერტმააქცენტი გააკეთა , სკოლის მიერ განხორციელებულ საგრანტო პროექტებზე და აღნიშნა, რომ სკოლა დიდ ყურადღებას უთმობდა კვლევების ჩატარებას სხვადასხვა საჭიროების გამოვლენის მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სტანდარტების შეფასება გადანაწილდა შემდეგნაირად: პირველი სტანდარტი, სკოლის ფილოსოფია ექსპერტების მიერ შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან კომპონენტი 1.1 (სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები) იყო სრულ შესაბამისობაში, ხოლო კომპონენტი 1.2 (სკოლის დაგეგმვა და განვითარება) შეფასებულ იქნა მეტწილად. მეორე სტანდარტი, სასკოლო კურიკულუმი, ექსპერტების მიერ შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან მისი ოთხივე კომპონენტი2.1(კურიკულუმის შემუშავება); 2.2(კურიკულუმის განხორციელება), 2.3(კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება), 2.4(კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია) შეფასდა სრულ შესაბამისად. მესამე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობაგანაპირობა კომპონენტების: 3.4(ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.6 (საინფორმაციო რესურსები) მეტწილად შეფასებამ.

ექსპერტის განმარტებით, მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ რაც განაპირობა ორივე კომპონენტის, 4.1 (მოსწავლეთა უფლებების დაცვა) და 4.2 (მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები) სრულ შესაბამისად შეფასებამ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა სკოლისთვის მიცემულ რეკომენდაციებსა და რჩევებზე, რომლებიც ასახული იყო სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მაძიებლად ცნობის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა აშენებული იყო მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორიებითა და გარე სპორტული მოედნით. ექსპერტმა დასძინა, რომ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი საჭიროებდა გამდიდრებას.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ, ჰქონდა თუ არა წარმოდგენილი დაწესებულებას შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ

დასკვნა. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლას აღნიშნული დოკუმენტი ვიზიტის პერიოდში არ წარმოუდგენია.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა განემარტათ შეძლებდა თუ არა სკოლა სახანძრო უსაფრთხოების დოკუმენტის წარმოდგენას და ასევე, ვებგვერდზე სათანადო ინფორმაციის ატვირთვას სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.. სკოლის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი სკოლას უკვე შესრულებული ჰქონდა, კერძოდ, დოკუმენტი შენობის ვარგისად ცნობის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად, რომელშიც ასახული იყო შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების ნორმების სტანდარტებთან შესაბამისობა, სკოლამ მოიძია ადგილობრივ მუნიციპალიტეტში, ხოლო სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის თაობაზე, დაწესებულებამ შეადგინა რეკომენდაციების შესრულების გეგმა. სკოლის ხელმძღვანელმა ასევე დასძინა, რომ საბჭოს სხდომის მომდევნო დღეს, გეგმავდა თემის წარმომადგენლებთან შეხვედრას სკოლის ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმის გაცნობის მიზნით.

საბჭოს წევრებმა განმარტეს, რომ აღნიშნული დოკუმენტები საკმარისი იყო შენობის უსაფრთხოების დასადასტურებლად.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, დაწესებულების წარმომადგენლებს მისცა რჩევა ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტის მე-6 და მე-19 მუხლების (პერსონალის პროფესიული განვითარებისა და წახალისების) გადახედვის თაობაზე.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილი დაინტერესდა სკოლის მიერ წარმოდგენილი დანართი №10-ში ასახული ინფორმაციით, რომელიც ეხებოდა მასწავლებელთა არყოფნის შემთხვევაში ალტერნატიული პირით ჩანაცვლების საკითხს. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებაში გაკვეთილების გაცდენის ფაქტები არ ვლინდებოდა, რადგან დირექცია ყოველთვის ზრუნავდა მასწავლებელთა ჩანაცვლებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ შეაჯამა წარმოდგენილი ინფორმაცია და ხაზი გაუსვა სკოლის ძლიერ მხარეებს, კერძოდ, განხორციელებულ არაფორმალურ პროექტებს, სკოლის მოწესრიგებულ სივრცეებს, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში ჩატარებული აქტივობების მნიშვნელობას. დავით მალაზონიამ განსაკუთრებულად აღნიშნა სკოლის პოტენციალი და ძალისხმევა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გამდიდრებაზე. მან ასევე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დაწესებულებას სხდომაზე წარმოდგენილი ჰქონდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციაც.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გუთურის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად,

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გუთურის საჯარო სკოლას (ს/კ: 242007546) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გუთური
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გუთური
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გუთური

6. სსიპ -წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტმა, როლანდ შავაძემ.
ექსპერტმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 01 და 02 აგვისტოს. დაწესებულება მდებარეობდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარით დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 700 ,

ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სკოლის შეფასების შედეგები რომლის შედეგად სტანდარტებთან მიმართებით გამოვლინდა რამდენიმე კომპონენტის ხარვეზი. სკოლის მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ სტანდარტების შეფასება შემდეგნაირად გადანაწილდა: პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც ,, შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან კომპონენტი 1.1. და 1.2. შეფასდა, როგორც სტანდარტთან შესაბამისი. მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ ვინაიდან კომპონენტი 3.4. და 3.6. შეფასდა, როგორც სტანდარტთან ნაწილობრივად შესაბამისი. მეორე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“

ექსპერტმა, როლანდ შავაძემ, აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, ვიზუალიზაციისთვის წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლა რეაბილიტირებული და აღჭურვილი იყო ახალი ინვენტარით. სკოლაში ფუნქციონირებდა კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, რესურს ოთახი, ბიბლიოთეკა, სპორტული და სააქტო დარბაზები, ქმნიდა სოციო-კულტურულ სივრცეს, ჰქონდა სრულად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ჰქონდა, თუ არა სკოლას შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის მდგრადობისა და შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი (დასკვნა).

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მზია ვაშალომიძემ, განაცხადა, რომ 2023 წლის ივნისის თვეში აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, სკოლამ განცხადებით მიმართა შესაბამის ორგანოებს, ხოლო შესრულების ვადები გაწერილი იყო შესაბამისობის გეგმაში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას თვითშეფასების კითხვაში ფიქსირებული რაოდენობის - 700 მოსწავლისთვის შესაბამისი ინვენტარი.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლის პასპორტით შენობა გათვალისწინებული იყო 700 მოსწავლეზე. მიმდინარე პერიოდში სკოლაში სწავლობდა 124 მოსწავლე, ხოლო საჭირო ინვენტარი სკოლას ჰქონდა მხოლოდ 400 მოსწავლეზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ შეფასების სქემის მიხედვით, დაწესებულებისთვის უნდა განსაზღვრულიყო მონიტორინგი 2 წლის ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მან არ დაუჭირა მხარი სკოლის ავტორიზაციას.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვის საჯარო სკოლას (ს/კ: 237102005) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბახვი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბახვი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბახვი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის სექტემბრიდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ცენტრში დოკუმენტაციის წარმოდგენით;
- მონიტორინგის ფარგლები: მესამე სტანდარტის 3.4. კომპონენტი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 19:37 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა